№ 33 თებერვალი 13, შაბათი 1888 თებერვალი 13, შაბათი № 33

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდიჯელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

გაზეთ ,,თეატრის'' რედაქციისაგან.

წარსულს წელს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო გაზეთ ,,თეატრის'' გამოცემა შევაჩერეთ. ეხლა განვიზრახეთ განვაახლოთ ბეჭდვა ჩვენის გაზეთისა და ამისათვის მოვიწვიეთ ახალი თანამშრომლები.

ვისაც წარსულს წელს გაზეთი დაკვეთილი ჰქონდა, წელს გაეგზავნება ხვედრი ნომრები შემოტანილის ფასის დაგვარად და ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, ვინც საცხოვრებელი ბინა გამოიცვალა, 25 თებერვლამდე შეგვატყობინონ თავიანთი ახალი ადრესები.

ახალის ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს: წლის დამლევამდე—4 მან., 1 ივლისამდე—2 მან., ცალკე ნომერი—15 კაპ.

ადრესი რედაქციისა: გოლოვინის პროსპექტი, ჩითახოვის სახლები, № 12; გარეშე მცხოვრებთათვის: Тифлисъ. Редакція газеты ,,Театръ''.

რედაქტორი და გამომცემელი ა. ხუბიერიძე

(5—1)

ქართული თეატრი

კვირას, 14 თებერვალს,

«ქართულ დრამატიულ საზოგადოების» დასის მიერ ქ. ყიფიანის და ქნ. ბ. ავალოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

თამარ ბატონიშვილი

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად.

II

ბიძიასთან გამოხუმრება

ოპერეტა-ვოდევილი 1 მოქმედებად, თ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალოვისა, საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა; ბ-ნნი ყიფიანი, აბაშიძე, ცაგარელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 7 1/2 საათზედ.

ტფილისი, 12 თებერვალი

კავკასიაში, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი მდიდარი და უხვი, მაგრამ გავერანებული ადგილებია, რომელსაც შეუძლიან გამოკვებოს მრავალი ხალხი. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ხსენებული ადგილები სრულიად გაშვებულია და დიდი ხანია იქ მუშა კაცს არ გაუვლია, იმისი სიმდიდრე დიდი ხანია არავის გამოუყენებია. ერთი უმდიდრესი გავერანებულ ადგილთაგანი ჩრდილოეთის კავკასიის შავის ზღვის ნაპირებია, რომელთა მდიდარს, ძლიერს ბუნებას განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. სწორედ რომ სამწუხარო სანახავია მდიდარი და თან გავერანებული ადგილი, რომლითაც ვერა სარგებლობს ისა, ვისაც მიწა ეჭირება, შრომა არ ეზარება, და ვისაც შეუძლიან იგი ადგილები გამოიყენოს და ამით სიმდიდრე შეჰმატოს მთელს ქვეყანას. ყოველივე ესე ყველასათვის აშკარაა, დიდი ხანია სჯა და ლაპარაკია განსაკუთრებით ამ ნაპირების დასახლების თაობაზე, და როდესაც კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილების დასახლების შესახებ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, განსაკუთრებულს ყურადღებას მართებლობისას, მწერლობისას და საზოგადოებისას მიიქცევდა ხოლმე შავის ზღვის ნაპირი, რადგანაც ამ ადგილის დასახლებას არა მარტო ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა აქვს სრულიად რუსეთისა და კავკასიის ცხოვრებაში, არამედ პოლიტიკურიცა.

აი, სწორედ ამიტომაც მომეტებული ყურადღება მიაქციეს ამ ნაპირის დასახლებას, მაგრამ დღემდის ვერას გახდნენ იმის გამო, რომ ვერ აღმოუჩენიათ თან ისეთის ჯურის ხალხი, რომელსაც ძალა შესწევდეს, რომ შეეჭიდოს იმ ადგილის გავერანებულს ბუნებას, ბრძოლა გაუწიოს იმ მხეცთა, რომლებითაც ავსებულია ის ადგილი, თავი შეუფეროს ადგილობრივს ჰავას, ვითარებას და რიგიანად ამოქმედოს იქაური მდიდარი ბუნება, და თან იმისთანა, რომელიც პოლიტიკურად საიმედო ყოფილიყოს. როგორც ჰხედავთ, ისეთის ხალხის დასახლება ყოფილა სასურველი, რომელიც ყოველის მხრით გამოსადეგარი და საიმედო უნდა ყოფილიყო. მართალია, რამდენჯერმე სცადეს სხვა-და-სხვა ტომის ხალხების დაბინავება, მაგრამ ამათგან არა გამოვიდა-რა, რადგანაც ვერც ერთმა ამათგანმა ვერა სძლია იქაური ბუნება და მხოლოდ თავი მსხვერპლად შესწირა ძლიერს განსაკუთრებულს თვისებას ამ ადგილებისას. ერთის სიტყვით, აგერ რამდენი ხანია კავკასიის ადგილობრივი მთავრობა სცდილობს ეს გავერანებული ადგილები როგორმე გამოიყენოს, რუსეთის მწერლობა სწერს და იძიებს, თუ რა ეშველება ამ ადგილებსა და ვინ უნდა დავასახლოთ აქაო, მაგრამ საკითხავი ჯერ-ჯერობით მაინც საკითხავად რჩება.

როგორც მკითხველი ჰხედავს, შავის ზღვის ნაპირების დასახლება მეტად რთული და საყურადღებო საგანია. ამიტომაც, ვგონებთ, მეტი არ იქნება, მკითხველს ვუამბოთ, თუ რა თვალით უყურებს ამ საგანს რუსეთის მწერლობა. ეს, ჩვენის აზრით, მით უფრო საჭიროა, რომ მწერლობის აზრი, როგორც სხვა-და-სხვა ცნობებიდგან სჩანს, თან-და-თან მეტს მომხრეებსა ჰპოულობს.

მომეტებული ლაპარაკი ასტყდა მწერლობაში აღნიშნულის საგნის შესახებ 1885—1886 წლეებში. გავლენიანმა ჟურნალებმა და ყოველდღიურმა გაზეთებმა გააბეს საუბარი და დასდეს თავისი განაჩენი, რომლის ავ-კარგიანობას მერმისი აღმოაჩენს, თუ რომ იმათი აზრი განხორციელებულ იქმნა. 1885 წელს ჩვენის საზოგადოების ნაცნობმა, ბ-ნმა ბოროზდინმა, («Наблюдатель»-ი) წარმოსთქვა ის აზრი, რომ კავკასიის სხვა-და-სხვა ვერანა ადგილებში საჭიროა დავასახლოთ რუსეთის გლეხ-კაცობა, რომელიც აქამომდე ციმბირისაკენ მიიზიდებაო; ციმბირის დასახლებას მაინცა-და-მაინც არ უნდა ვჩქარობდეთო, ხოლო კავკასიის დასახლებას-კი ჩვენის გლეხ-კაცობით ეხლავე უნდა შეუდგეთო. შემდეგ იგივე ბოროზდინი, რომელიც თავის თავს კავკასიის ცხოვრებისა და ვითარების კარგ, პირუთვნელ მცოდნედ ჰხადის; გაზეთ «Новое Время»-ში საკუთრად შავის ზღვის ნაპირა ადგილის თაობაზე სწერდა, რომ ამ ადგილის დასახლება, შემუშავება და დამორჩილება შეუძლიან მხოლოდ იმ რუსის თავისუფალ ყაზახებსაო (вольное казачество), რომელიც ბინადრობს სპარსეთისა და მცირე აზიის საზღვრებზე, არა ხნავს და არა სთესავს, არავითარს მართებლობას არ ემორჩილება და თავის ძალ-ღონეს აბისინიასა და სუდანში ავარჯიშებს რუსეთისათვის სრულიად გამოუსადეგრად და უსარგებლოდაო. ეს ყაზახობა დიდის სიხარულით დაბრუნდება რუსეთის მართებლობის მფარველობის ქვეშ და ისევ ერთგულად ემსახურება სახელმწიფოსა და რუსეთის სახელს, როგორც დანარჩენი ყაზახობა, რომელსაც ეგოდენი სახელი და დიდება მოუხვეჭია ბრძოლის ველზე და რუსეთის მფლობელობის გავრცელებასა და გაძლიერებაშიო. შემდეგ ბ-ნმა შავროვმა («Сѣверный Вѣстникъ»-ი) დასწერა ვრცელი წერილი, რომ-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ბისმარკის სიტყვა.—ყოჩაღ, ბისმარკ!—ჭიჭყინა თევზი და პირ-დაღებული ლოქო.—ჭიჭყინა თევზის მადა.—ჩვენ მარტო ღვთისა გვეშინიანო!—შორს ჩვენგან ბისმარკი!—კიდევ ედისონი და იმისი ფონოგრაფი.—მიწერ-მოწერა ფონოგრაფის შემწეობით.—ფონოგრაფიით ნაბეჭდი წიგნები.—განსხვავება ამ წიგნებსა და ეხლანდელს წიგნებს შორის.—ფატის სიმღერით როგორ დავიტკბობთ სმენას?—გჯერა და არცა გჯერა!—ედისონის სიყმაწვილე.—მოულოდნელი შემთხვევა.—ედისონის გულ-მავიწყობა.—ედისონის ცხოვრება დღეს.

— წაიკითხე ბისმარკის სიტყვა?

— როგორ არ წავიკითხავდი!

— რას იტყვი?

— რა მეთქმის? საუცხოვო, ჩინებული სიტყვაა! ყოჩაღ, ბარაქალა ბისმარკ, მე და ჩემმა ღმერთმა! აბა კაციც ისა ყოფილა და ქუდიც იმასა ჰხურებია! დიდის ჭკუის პატრონი ყოფილა, დიდისა! ბევრს მოუცდება იმასთან!..

— მე მაგას არა გკითხავ:—ომი იქნება, თუ არა? ამის გაგება მინდოდა.

— მაგისი-კი რა მოგახსენო.

— არა, ბისმარკი რას ამბობს?

— მეც მაგას არ გეუბნები! არა, კაცმა ორი საათი ილაპარაკოს, ილაპარაკოს ომის თაობაზე, მერე იმ დროს, როცა ყველანი დღე-დღეზე რაღასაც მოელიან,—ილაპარაკოს და არა თქვას-რა-კი,—განა ამას დიდი ჭკუა არ უნდა?

— მეც ეგ მიკვირს: ჰკითხულობ და არა გესმის-რა! თითქოს კიდეც უნდა ომი, კიდეც არა. ვიღასაც მუქარით სიტყვა გადაჰკრა, ვიღასაც ტკბილის სიტყვით გული მოჰფხანა; მტერს მრისხანედ შეჰბღვირა და მათრახი დაანახვა, მეგობარს თეთრი კბილი უჩვენა და მეგობრული სალამი შეუთვალა. გული-კი არც ერთს, არც მეორეს არ გაუხსნა: არც მტერს მტრობა, არც მეგობარს მეგობრობა პირდაპირ და გარდაწყვეტილად არ უთხრა. მტერიც და მეგობარიც თითქოს თანასწორ მოიმადლიერა კიდეც და მოიმდურა კიდეც...

— მაგას თავი დაანებე... «ჩვენ პატარა, ჭიჭყინა თევზები ვართო, ორს დიდს, გაუმაძღარს თევზს ლოქოსავით პირი დაუღიათ და გადაყლაპვას გვიპირებენო»... ამას ამბობს ბისმარკი! არა, როგორ მოგწონს?—გერმანია და ჭიჭყინა თევზი! განა სასაცილო არ არის?.. ამ ჭიჭყინა თევზმა ისეთი მაგრა გამოჰკრა ბოლო ავსტრიას, რომ ავსტრია დღეს ძლივს მოდის გონზე, ამ ჭიჭყინამ დანია სრულიად დაადნო და ნაპოლეონი ხომ ცოცხლად ჩაყლაპა, ჩაყლაპა ისე, როგორც იყო,—იმისი წვერი და გაწკეპილი ულვაშებიც თან ჩაატანა,—ჩაყლაპა და ყელზედაც არ დაადგა. საუცხოვო მადა და კუჭი ჰქონია ამ ჭიჭყინას!.. არა, ბისმარკი ოხუნჯი, ხუმარა კაცი ყოფილა!..

— ღმერთმა ნუ ქმნას, და თუ ეს ჭიჭყინა დიდ თევზად გადიქცა და მადაც ასეთი გაუმაძღარი შეჰრჩა, მთელს ქვეყანას გადაჰყლაპავს!..

— განა გჯერა, რომ დღეს-კი გერმანია მართლა ჭიჭყინა თევზია?

— მეც, სწორედ გითხრა, აზრად მომდიოდა ეგ ფიქრი,—მართლა სად ჭიჭყინა თევზი და სად ასეთი დიდგულობა, გაბედულობა: «ჩვენ მარტო ღვთისა გვეშინიანო!».

— რა კარგად არის ნათქვამი-და! ყოჩაღ, ღმერთმანი, ბისმარკ, ყოჩაღ!..

— რაო? ყოჩაღ, რომ დაავიწყდა დიდი თევზები, რომელთაც პირი დაუღიათ და ჩაყლაპვას უპირებენ ამ ჭიჭყინა თევზსა?

— არა, არ დავიწყებია! ღვთის შიში ღვთის შიშად იყოსო, ღვთის იმედიც რომ ვიქონიოთ, კარგი იქნებაო, მაგრამ არც-კი ის იქნება ურიგო, რომ ჩვენ თითონაც გულ-ხელ დაკრეფილები არ ვისხდეთო; და თუ მამულის სიყვარული გაქვთ, ნუ დაიშურებთ ერთს სამას მილიონს ფულსა და მაშინ მე ვიცი, როგორც გადაგვყლაპვენ ეს პირდაღებული თევზებიო,—ეუბნებოდა ბისმარკი პარლამენტს.

პარლამენტსაც ხმა არ ამოუღია, აიღო და მისცა სამასი მილიონი.

**

ასეთს ლაპარაკს მოვკარ ყური და, როგორც უცხოეთის ცხოვრების მეთვალ-ყურეს, არ შემეძლო არ აღმენიშნა.—მეტად შესანიშნავია, მართლა ბისმარკის სიტყვა, დღეს ყველა ამაზე ლაპარაკობს.

უცნაური რამ ძალა უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ იმისმა სიტყვამ მთელის ქვეყნის სმენა შეიპყრას და ყველა აალაპარაკოს. პოლიტიკის და დიპლომატის მოქნილს ენას რაღაც თილისმა, ჯადო უნდა ჰქონდეს, რომ მსმენელზე ასე საოცრად მოქმედებს,—თითქოს ყველას ენა ჩაჰვარდათ და ხმის ამოღება ველარ გაუბედნიათო. თორემ პარლამენტში ერთი კაცი მაინც როგორ ვერ გამოჩნდა, რომ ეკითხა ბისმარკისათვის: ძალიან კარგი,—ეს სამასი მილიონიც დაგითვალეთ, მერე არ გვეტყვი მაინც, რისთვის ვიხდით ამოდენა ხარჯსა? სამშობლო გაჭირებაშია?—მაშინ ხმას არ ამოვიღებთ. თორემ ეს რამდენი წელიწადია, სულ ის გვესმის, ფული მოგვეცით, ფულიო. როდემდის? გუშინ ორასი მილიონი, დღეს-სამასი, ხვალ კიდევ მეტი,—საზღვარი ექმნება თუ არა? გერმანიის ერმა რომ ველარ შესძლოს. რა მერმის ვუმზადებთ ჩვენს ერსა და მთელს ევროპასაც. მთელი ევროპაც ხომ, ჩვენის შეხედვით, შეიარაღებულ მეომართა ბანაკად გადიქცა. წინ მივდივართ, თუ უკან ვიწევთ? თოფი და ხმალი ხომ გზას ვერ გაუკაფავს ადამიანს წინმსვლელობისათვის...

ბევრი კიდევ ამისთანა სამართლიანი სიტყვები შეიძლებოდა ეთქვათ ბისმარკისათვის... მაგრამ შორს ჩვენგან ასეთი «ფიქრი, შავად მღელვარე»!.. შორს ჩვენგან ბისმარკი! მთელის ქვეყნის სვე-ბედი მართლა ხომ ბისმარკზე არ არის დამყარებული!? დღეს არის ბისმარკი, ხვალ აღარ იქნება, წავა და გაქრება. ქვეყანა დაივიწყებს და თუ მოიგონებს კიდევ, ზოგი კარგად, ზოგი ავად მოიხსენებს. ადამიანი სიყვარულით იხსენიებს მხოლოდ იმას, ვინც ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის, ბედნიერებისათვის ზრუნავს და იღვწის, მხოლოდ ამათ სახელს იხსენიებს მადლობით. ვინ იცის? ადამიანმა იქნე-

ლის დედა-აზრი ის იყო, რომ შავის ზღვის ნაპირების დასახლებას უპირველესად პოლიტიკური ხასიათი უნდა ჰქონდესო, რადგანაც ის ისეთი ადგილია, რომ მტერს შეუძლიან ხელი მიაწვდინოსო და კავკასიაში მშვიდობა დაარღვიოსო... ბ-ნი შავროვი ამბობდა, რომ სრულიად შეუძლებელია იმ ადგილებში არა-რუსი დავასახლოთო; ტყუილი იმედია კავკასიის რომელიმე ერი გამოდგეს, თუნდაც ქრისტიანი, მთიული, მაგალითად, რაჭველიო, რომელსაც არაფრით დაუმსახურებია პოლიტიკური ნდობაო. საჭიროაო, ამბობდა იგივე მწერალი, — რომ მართებლობამ არავითარი ხარჯი არ დაზოგოს გზების გასაყვანად და ამით გაუადვილოს მსურველთ ამ ვერანა ადგილების გამოყენებაო.

თუ არა ვსცდებით, ცნობილი რუსის მოგზაური ექიმი ელისეევი («Экономическій Указатель»-ი) სწერდა, რომ ერთად-ერთი საიმედო და სანდო ხალხი, რომელსაც შეუძლიან შავის ზღვის ნაპირის დასახლება, ისევ ის მამაცი, მხნე და გამბედავი თავისუფალი ყაზახობა არისო. ბ-ნი დუკმასოვიც («Русскій Вѣстникъ»-ი) თითქმის ამასავე ამბობდა.

ეხლა ვნახოთ, რა თვალით უყურებენ აღნიშნულს საგანს მწერლობის გარეშე. ამ საგნის ძიებას შეუდგნენ «რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება», «სავაჭრო ნავოსნობის დამხმარებელი საზოგადოება» და «თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება». როგორც ჰხედავთ, ამ საგნის ძიებას შეუდგნენ ისეთი [illegible] უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება ვაჭრობისა და მრეწველობისა, ერთის სიტყვით, კულტურის დახმარება და ხელის შეწყობაა. ამიტომაც საბუთი უნდა გვქონოდა, რომ საქმე ჯეროვანის, შესაფერის გზით წარიმართებოდა და დიდის ხნის საზრუნველი საქმე ყველასათვის სასიამოვნოდ და სასარგებლოდ გადასწყდებოდა. ამ სამმა საზოგადოებამ შეადგინა ერთი შეერთებული კომისია, რომელსაც უნდა განეხილა და დაესრულებინა ეს მძიმე და რთული საგანი. როგორც გაზეთი «Новости» გვაცნობებს, ამ შეერთებულს კომისიას ყველა საჭირო მასალების განხილვის შემდეგ, ერთ-ხმად დაუსკვნია, რომ «ერთად-ერთი ყოველის მხრით საიმედო ხალხი, რომლითაც შესაძლოა შავის ზღვის ნაპირა ადგილების დასახლება, ისევე ყაზახები არიანო; აგრეთვე შეიძლება სხვა წოდებისანი დაასახლონ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ყაზახის წოდებას მიეწერნენო».

როგორც მკითხველი ჰხედავს, მწერლობას და ამ სამს საზოგადოებას განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევიათ საგნის ერთის მხრისათვის, სახელდობრ პოლიტიკურისათვის, და მეორე მხარე-კი, სახელდობრ ისა, რომ შავის ზღვის ნაპირის დასახლებას განსაკუთრებით კულტურული, ეკონომიური ხასიათი უნდა ჰქონდეს, თითქმის სრულიად დაუვიწყნიათ და ეს გარემოება რამდენად ხელს შეუწყობს საქმის დასრულებას და სასურველად წარმოებას, ამას შემდეგში ვნახავთ.

მწერლობაში სხვა აზრიცა ტრიალებს. გაზეთი „Новости“ ამბობს, რომ იმ ადგილების დასახლება ყაზახობით სასურველი არ არის, რადგანაც ყაზახობა კულტურულს, ეკონომიურად მოხერხებულს ძალას არ წარმოადგენსო. ყაზახი, ვითარცა კულტურული ძალა, ბევრად დაბლა სდგას რუსის გლეხთან შედარებითაო. საჭიროაო, ამბობს «Новости», — რომ როგორმე გაკეთდეს ნოვოროსიიდგან მოყოლებული ქუთაისამდე გზა, რომელიც საშუალებას მისცემს მსურველთა, დაესახლონ შავის ზღვის ნაპირებზე და მისვლა-მოსვლა ჰქონდეთ ვაჭრობისა და წარმოებისათვის. ამ გვარი სისტემა გამოცდილია ამერიკაში, კარგ საშუალებად აღმოჩნდა და ამიტომაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენშიაც გამოდგებაო.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ბ-ნი არტურ ლეისტი, რომელიც აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია საქართველოში იმყოფება სტუმრად და სწავლობს ქართულს ისტორიასა და ლიტერატურას, სთარგმნის ამ ჟამად გერმანულად «ვეფხვის-ტყაოსანს». არტურ ლეისტს უკვე რამდენიმე კარი გაულექსავს შესანიშნავის პოემისა. გერმანულის ენის მცოდნე ქართველებს, ვისაც-კი წაუკითხავთ ეს ლექსები, ძალიან მოსწონთ ბ-ნის ლეისტის თარგმანი.

*** სათეატრო კომიტეტს შეუცვლია ის პიესები, რომელიც უნდა ქართულს დასს წარმოედგინა და დაუნიშნავს მათ მაგიერ 14 თებერვლისათვის «თამარ-ბატონიშვილი», ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, გადაკეთებული კ. მესხის მიერ, და ვოდევილი რაფ. ერისთავისა — «ბიძიასთან გამოხუმრება».

*** დღეს დაბეჭდილია ჩვენს გაზეთში გაზ. «თეატრის» რედაქციის განცხადება. რედაქცია ამბობს, რომ განვიზრახეთ დღემდე შეჩერებულის გაზეთის ბეჭდვა განვაახლოთო და ამისათვის ახალნი თანამშრომელნი მოვიწვიეთო. ჩვენ არ ვიცით, ვინ იქმნებიან ახალნი თანამშრომელნი გაზეთის «თეატრი»-სა, მაგრამ გვესმის-კი, რომ რედაქციას დიდი სურვილი აქვს ბეჯითად მოეკიდოს საქმეს და ჰბეჭდოს თავის გაზეთში ადვილი და სასიამოვნო საკითხავი მასალა. ვისურვებთ, რომ ამ საკვირაო გაზეთს ახლა მაინც ბედი გაჰღიმებოდეს და მართლა სასიამოვნო საკითხავ გაზეთად გადაქცეულიყოს.

*** ტფილისში, როგორც გვითხრეს, ძალიან თურმე იყიდება ქარგაზედ საკერავი ქართული ანბანი. ჩვენებურს ქალებს ესიამოვნათ, რომ ძლივს ახლა მაინც გაგვიჩნდა ქართული ასოები სხვა-და-სხვა საოჯახო ნივთებზედ საკერავადაო. აქამდე ამ ასოების უქონლობის გამო უცხო ენის ანბანს ეხმარობდით და იმითა ვქარგავდით ხოლმეო. ახლა-კი, დაიბეჭდა თუ არა კანვაზედ საკერავი ქართული ანბანი, ოჯახებში მოდად შემოსულა, უცხო ანბანის ასოების მაგიერ, ქართულის ასოების კერვა. აი ასეთის მოდის გავრცელებაა სწორედ სასიამოვნო და სასარგებლო. ეჭვი არ არის, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის ქალაქები და დაბა-სოფლებიც მიჰბაძავენ ტფილისსა და ეს დიდად მოსაწონი მოდა უფრო ფეხს მოიკიდებს და გავრცელდება.

*** ახალი პიესა ბ-ნის ავ. ცაგარლისა, სახელად «ციმბირელი», უკვე წარუდგენია ავტორს ცენზორისათვის ნება-დასართველად. ავტორს განზრახვა აქვს თავისი პიესა ამ სეზონში წარმოადგენინოს ჩვენს სათეატრო დასსა. პიესა ოთხ-მოქმედებიანია, ფრიად საინტერესოდ და სცენის ცოდნით არის დაწერილიო, როგორც ამბობენ ისინი, ვისაც შემთხვევა ჰქონია და წაუკითხავს ეს პიესა ახალგაზრდა დრამატურგისა.

*** ეს მეოთხე დღეა, რაც ოლქის სასამართლოში ირჩევა საქმე სამსახურიდამ გამოსულ ინტენდანტის მოხელის ბ-ნ მეცუგოვისა, რომელსაცა ჰბრალდება სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდების გაუქმება. როცა გათავდება განსამართლება, მკითხველებს უფრო დაწვრილებით შევატყობინებთ ამ საქმესა.

*** 16 თებერვალს, როგორც მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, კრებაა ტფილისში დანიშნული ქართლ-კახეთის სამღვდელოებისა. კრება განიხილავს განსაკუთრებით ტფილისის სასულიერო სემინარიის შესახებს საქმეებსა.

*** 12 თებერვალს იარმუკაში ვიღაც მეხილე ცაკანას საყინულეში მუშაობის დროს ჩავარდა ორთაჭალელი მუშა გლეხი, რომელიც დღიურ მუშად ჰყავდა ხსენებულს ცაკანას. საბრალო გლეხი ძალიან დაჟეჟილია და განსაკუთრებით წელი აქვს დაშავებული, მაგრამ ყურის მგდებელი არავინ აღმოჩნდა და საყინულის პატრონმაც არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

*** კვირას, თოთხმეტს თებერვალს, «მედროგე-მეპოვოსკეების» უსტაბაშის ამორჩევა იქნება ტფილისის სახელოსნო გამგეობაში. სასურველია, ღირსეული კაცი ამოირჩიონ, რომელსაც შეეძლოს რიგისა და წესის დაცვა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ «მედროგე-მეპოვოსკებს» შორის დიდი უწესოება ჰსუფევს.

*** ბათუმიდგან ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს: «ივერიის» მე-28 №-ში მოხსენებულია ამბავი იმაზედ, თუ როგორ და რა მიზეზით დასჭრა ბ-ნმა ნ. ქუთათელაძემ ბ-ნი ა. ეს გარემოება ისე არ არის ნაამბობი, როგორადაც ნამდვილად მოხდა. მაგალითად, ნათქვამია, რომ ნ. ქ—ძე ვერ იცნობდა ა — საო. თუ ამ გარემოებას რაიმე მნიშვნელობა აქვს, უნდა მოგახსენოთ, რომ

---

ბა დაივიწყოს ბისმარკი და არ დაივიწყებს, მაგალითად, ედისონს. ბისმარკი მთელს ქვეყანას თოფის წამლის ბოლში გახვევას უპირებს და მწარე მერმისს უქადის, ედისონი-კი ნუგეშის შუქსა ჰფენს, — უნათებს ადამიანს წინ-მსვლელობის გზა-კვალს და მერმისში ბედნიერს და ტკბილს სიცოცხლეს უმზადებს.

**

მართლა, კარგა ხანია ედისონზე ლაპარაკი აღარა გვქონია. კარგი-კი იქნებოდა, რომ ხშირად გავიხსენებდეთ ხოლმე ამ კაცის სახელსა. ხომ გახსოვთ, მკითხველო, ედისონი, ეს მეცხრამეტე საუკუნის თვალთ-მაქცი, ჯადოსანი და სასწაულთ-მომქმედი? ხომ გახსოვთ აგრეთვე იმისი «ფონოგრაფი», ეს უცნაური, საოცარი მანქანა, რომელსაც რასაც ჩასძახებ, ქვევრიივით უკან იმასვე ამოგძახებს.

კარგა ხანია, რაც ედისონმა ეს ფონოგრაფი მოიგონა, და დღემდის-კი საქმეში ვერ გამოეყენებინათ. მიზეზი ის იყო, რომ ფონოგრაფს ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა. ჯერ ერთი ხმა არ უვარგოდა, — რაღაც ბოხი, უსიამოვნო იყო, თითქო სულთ-მობძავიაო, ისე ხრიალებდა; სიტყვებიც გარკვევით არ ისმოდა. ბევრს სიტყვებს ჰყლაპავდა და ნათქვამს უკან სრულიად აღარ გადასცემდა ხოლმე: — ეგონათ გულ-მავიწყიაო, მაგრამ ნამდვილი მიზეზი-კი თურმე ისა ყოფილა, რომ ყურზე ცოტა მძიმედ ბძანებულა.

დღეს-კი, როგორც გვარწმუნებენ გაზეთები, ფონოგრაფი სრულიად გამოკეთებულა, გამოცვლილა: ნაზი, წყნარი და მშვიდი ხმა მისცემია, სიტყვებს გარკვევით და კაფიათად ამბობს თურმე და სმენით ხომ ისეთი ყურ-მახვილი გამხდარა, რომ გამფრენილ ბუზის ხმა რა არის, ისიც-კი აღარ გამოეპარებაო.

— ეს ყველა კარგიო, მკითხავენ, მაგრამ ერთი ეს გვითხარით: რაშია გამოსადეგი ეს რაღაც ფონოგრაფია, ვის რა სარგებლობას მოუტანს?

მეც ვიცოდი, რომ მაგასა მკითხავდით, რადგან ადამიანი ყველაფერში, მეტადრე ეხლანდელს დროში, სარგებლობას ეძებს. ედისონი ამერიკელია, და ამერიკელი-კი, ხომ მოგეხსენებათ, ისეთს საქმეს არ მოჰკიდებს ხელსა, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი არ იყოს. ფონოგრაფსაც დიდს მერმისს უქადიან. ჯერ დღესაც ისეთ საოცარ საქმეებს სჩადის ფონოგრაფი, რომ როდესაც თვით ედისონმა პირველად სცადა ახლად გადაკეთებული ფონოგრაფი, არა სჯეროდა, თუ ამ მანქანას ასეთ ამბების ჩადენა შეეძლებოდა.

**

ვსთქვათ, მაგალითად, ვისთანმე წერილის გაგზავნა გინდათ. წერა საჭირო აღარ არის, მოჰმართავთ თქვენს ფონოგრაფს, დასჯდებით, ან ოთახში სიარულს დაიწყებთ, როგორც სურვილი გექმნებათ, და მოჰყვებით ლაპარაკს ისე, როგორც ყოველთვის თქვენ შინაურებს ან მეგობრებს ელაპარაკებით. ფონოგრაფი ყველა სიტყვას თითო-თითოდ მარცვლებივით აჰკრეფავს, მთელს თქვენ ნალაპარაკევს მძივივით აასხავს და დაჰბეჭდავს თხელ, სუფთა, სიფრიფანა, წმინდა სანთლისაგან ჩამოსხმულს ნაჭერზე, რომელიც შიგ ფონოგრაფშია ჩასმული და დასაბეჭდავად მოწყობილი. ამ ნაჭერს ედისონი «ფონოგრამას» ეძახის. «ფონოგრამა» მაშასადამე ამას იქით წერილის მაგიერობას გასწევს. გაჰგზავნით ფოსტით ამ «ფონოგრამა»-წერილს, ვის სახელობაზედაც გინდათ. მიმღები «ფონოგრამას» თავის ფონოგრაფში ჩასდებს, მოჰმართავს, და სიტყვა-სიტყვით, გარკვევით იმას გაიგებს, რაც თქვენ თქვენს ფონოგრაფს უთხარით. ამასთანავე თქვენი ხმა, კილო თქვენის ლაპარაკისა, ყოველი მიხვრა-მოხვრა ხმისა მტკიცედ და შეუცვლელად იქმნება დაცული. ასე რომ, ვსთქვათ, პარიჟიდამ «ფონოგრამა»-წერილი მოგივიდათ თქვენის კარგის, ახლო ნაცნობისაგან, ნაცნობისაგან, რომლის ხმა და კილო ლაპარაკისა კარგად იცით. ფონოგრამას თქვენ ფონოგრაფში სდებთ და აწყებინებთ ლაპარაკს. ყურს უგდებთ და არა გჯერათ, არა გჯერათ, რომ გელაპარაკებათ რაღაც უსულო ფონოგრაფი და არა თქვენი ნაცნობი, ისე ჰგვანან ერთმანერთს ფონოგრამის მოტანილი ხმა და ნამდვილი ხმა თქვენის ნაცნობისა.

ფონოგრამა დიდხანსა სძლებს. თუ განგებ არ წაშალეს და არ გააფუჭეს, ასი წელიწადიც რომ შეინახონ, ფონოგრამაზე დაბეჭდილი ხმა არ შეიცვლება. ასე რომ შვილიშვილს შეუძლიან თავის გარდაცვალებულ მამა-პაპის ხმა და კილო ლაპარაკისა გაიხსენიოს, როცა უნდა.

ერთ დაბეჭდილ ფონოგრამიდამ შეიძლება, თუნდ უთვალავად, ფონოგრამები გადიბეჭდოს. გადაღება და გადაბეჭდვა ძნელიც არ იქნება: ორი ფონოგრაფი იქნება ერთად დადგმული; ერთში იქნება დაბეჭდილი ფონოგრამა, მეორეში დაუბეჭდავი. მოჰმართვენ პირველ ფონოგრაფს და რაც აქედგან სიტყვები ამოვა, მეორე ფონოგრაფში სულ აიბეჭდება. რამდენიც გინდათ, იმდენი დაიბეჭდება, ოღონდ ფონოგრამები ბლომადა გქონდეთ მზადა და დროზე სცვალოთ ფონოგრაფში.

რასაკვირველია, წიგნების ბეჭდვაც ძნელი აღარ იქნება ფონოგრაფის შემწეობით. ხოლო რა დიდი განსხვავება-კი იქნება ეხლანდელს და ფონოგრაფიით ნაბეჭდს წიგნებს შორის!.. დღეს თვალებს ვიწყალებთ წიგნებში ყურებით, მაშინ წიგნების კითხვაში მონაწილეობას მიიღებენ მარტო ყურები. დღე თუ ღამე, სანთელზე თუ უსანთლოდ, — სულ ერთი იქნება, კითხვას არა დაგვიშლის-რა. ეს კიდევ რა.

ხომ იცით, რომ კითხვაც არის და კითხვაცა. ზოგი ისე წაიკითხავს, რომ წაკითხულს სრულიად შეგაძულებთ, ზოგი-კი ისეთის მადლით და ნიჭით წაიკითხავს, რომ ინატრებთ, ნეტავი კიდევ გამაგონაო. წარმოიდგინეთ, რომ აი ამისთანა ნიჭიერს მკითხველს წააკითხეს, ვსთქვათ, რაიმე მოთხრობა და ფონოგრაფის შემწეობით დაბეჭდეს. თქვენც ჰყიდულობთ ამ სახით დაბეჭდილს მოთხრობას და თქვენის ფონოგრაფის შემწეობით ჰკითხულობთ, ე. ი. ფონოგრაფი გიკითხავთ და თქვენ მხოლოდ ყურს უგდებთ. რა სასიამოვნო უნდა იყოს ასეთი წიგნის კითხვა?!..

**

ერთი საკვირველი თვისება აქვს კიდევ ფონოგრაფს: ოცი კაცი რომ ლაპარაკობდეს ერთად ან ერთი მეორის შემდეგ, ყველას ხმას ცალკე, თავის განსხვავებულ ხასიათით აჰკრებს და აღბეჭდავს ფონოგრამაზე. ვსთქვათ მიიღეთ ასეთი ფონოგრამა, ჩასდეთ თქვენ ფონოგრაფში და დააწყებინეთ ლაპარაკი: საოცრად იცვლება ხმები, ოცი სხვა-და-სხვა ხმა გესმით და ყველას თავისი საკუთარი, განსხვავებული ხასიათი აქვს.

არა თუ მარტო ადამიანის ხმას, ყველა სამუსიკო საკრავის ხმაც ასე გარკვევით და განსხვავებით გარდაიცე-

ქ—ძე ძალიან დაახლოვებით იცნობ-და ა—ს. რაც შეეხება იმას, ვითომ ა. მძიმედ არ იყოს დაჭრილი, ამის შესახებ უნდა გაცნობოთ, რომ ა. იმ ...ებედურის შემთხვევის შემდეგ მეოთ-...ე დღეზე გარდაიცვალა.

ბათუმში ძლიერ თბილი დარები ...აიჭირა და სხვა-და-სხვაავადმყოფობა ...აჩნდა.

*** გაზეთ «Новое Обоз.»-ეს ...ნდო წყაროდგან შეუტყვია, რომ ... ხმა, ვითომ პეტერბურგში გადა-...ყვეტილია სხვა-და-სხვა შეღავათი ...ეცეთ «პრიკაზის» მოვალეებს, მარ-...ალი არ არის; ეს საქმე მხოლოდ ... დღეებში უნდა გადასწყვიტონო.

*** სამხედრო გუბერნატორს და-...სტნისას გამოუგზავნია ტფილისის ...გუბერნიო მთავრობისათვის 24,476 მან. 22 კაპ. ეს ფული უნდა დაუ-...იგდეს სიღნაღის, თელავის, თიანე-...ის და ტფილისის მაზრების ზოგი-...რთ მცხოვრებთ იმ ზარალის მაგიერ, ...რომელიც ამათ მოუვიდათ 1877 ...წელს, როცა დაღისტანში არეუ-...ლობა მოხდა. ამ ფულიდგან ამ ...კლეს ხანში უნდა დარიგდეს: სი-...ღნაღის მაზრაში 11,840 მან. 50 კ., ...თელავისაში—4,158 მან. 87 კ., თი-...ანეთისაში—1,724 მან. 27 კ. და ტფილისისაში—752 მან. 56 კ. («Кав-...казъ»-ი).

*** 31 იანვრის ღამეს სპარსეთის ქვეშე-...რდომთა სარქისოვისა და ტატუზოვის თა-...ლიდგან გაიყვანეს ორი ცხენი. ეს ცხენები ...მავნა ბოქაულის ხელ-ქვეითმა სვიმონოვმა ... თებერვალს ყარაიაზში, მემამულის ალიზ-...ად-ჰუსეინ-ოღლის სახლის ეზოში. დამნაშა-...ვენი სამართალში არიან მიცემულნი, ხოლო ...ცხენები-კი პატრონთ დაუბრუნდა.

---

# ...აბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**...მტრედია.** როგორც მოგეხსენე-...ბათ, სამტრედია კარგად მოზრდილი რკინის გზის სადგურია ფოთი-ტფი-ლისისა და ბათუმის გზების შესართავ-ში. რაც დღე მიდის, ამ სადგურს მეტი და მეტი მნიშვნელობა ეძლევა, იგი თან-და-თან მატულობს და იზრდე-ბა. იქ, სადაც ფოთი-ტფილისის რკი-ნის გზის გაყვანამდე დიდი ტყე იყო, სადაც ტურა და მგელი ჭყმუყობდნენ და იმათის ღმუილისა და ჭყივილის მეტი არა ისმოდა-რა და მხოლოდ მონადირეები არღვევდნენ იმათს მყუდრო-ებას, დღეს გაშენებულია მშვენიერი რკინის გზის სადგური, მრავალი სხვა-და-სხვა ნაირი დუქნი, რამდენიმე სადგომი სახლი, ფოსტა და სხვანი. მრავალი სხვა-და-სხვა ჯურის გამყიდველ-გამომყიდველი მგზავრები, დიდ-ძალი ვაჭარი ხალხი, გლე-ხობა, რომელსაც გასასყიდად გამოაქვს თავისი ნამუშავარი და ნაწარმოები, კოხ-ტა და გამოწკიპული თავად-აზნაურობის ახალგაზდობა, რომელსაც სამტრედიის ულაზათო, უსუფთაო და უშნო დუქნე-ბი დროს გასატარებელ და საქეიფო ადგილად მიაჩნია,—აი ყოველივე, რაიცა თავისებურს ხასიათსა და ფერსა სდებს აქაურს ცხოვრებას. როგორც ჰხედავთ, ცხოვრებამ თავისი გაიტანა, შემუსრა მგლისა და ტურის მყუდრო, დაბურუ-ლი ბინა და სრულიად გადააბრუნა აქაუ-რობა, ასე რომ მგლისა და ტურის ღმუი-ლისა და ჭყივილის მაგიერ ეხლა გაისმის მოშლილის «არღნის» ხმა და ღვინო-მორეულის ყმაწვილ-კაცების ყვირილი და უშვერი სიტყვა. მოხუცნი ეხლა პირ-ჯვარს იწერენ, როცა წარსულს გაიხ-სენებენ და დღევანდელს სურათს შეა-დარებენ. ვინ იფიქრებდა, რომ ამისთანა ყოფას მოვესწრებოდითო, ამბობენ იახი-ნი თან გაკვირვებით და თან ნაღვლიანად.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სამ-ტრედია მეზობელ სოფლების ყმაწვილ-კაცობისათვის დროს გასატარებელი და საქეიფო ადგილია. ეს ყმაწვილ-კაცობა აქ ქეიფისა და ფულის ფლანგვის მეტს არაფერს აკეთებს. მერე უნდა იცო-დეთ, რა უწესოებასა სჩადიან ხოლმე; თვითოეული იმასა სცდილობს, რომ თავის ნაცნობის, მეგობრის ხარჯით იქეიფოს და ყოველს ღონის-ძიებას ჰხმა-რობს, რომ რაც შეიძლება მეტი ფუ-ლი დაახარჯვინოს გულ-კეთილს მეგო-ბარსა. ღვინო რომ თავში გაუჯდებათ, იმათგან უშვერის სიტყვების მეტს ვე-რაფერს გაიგონებთ; უშვერობას ზოგ-ჯერ ჩხუბიც მოჰყვება ხოლმე და ხანდისხან სისხლიც იღვრება. ამ უკა-ნასკნელს საქციელს, სამწუხაროდ, ზოგ-ჯერ არც ჭკვიანი მორეული მოხუცნი თაკილობენ, მაგრამ ხმის გამცემი, გამ-კიცხველი არავინ არის.

რამდენადაც თავზედ ხელ-აღებულად იქცევა აქაური ყმაწვილ-კაცობა, იმ-დენად უფრო თამამად და მოხერხებუ-ლად მოქმედებს აქაური ვაჭარი, მედუქ-ნე, რომელიც არავითარს საშუალებას არა ჰზოგავს, რათა სრულიად დაფხრი-წოს ჩვენის თავად-აზნაურობის უიმი-სოდაც გახვრეტილი ჯიბა. ერთის სი-ტყვით, აქაური ვაჭრობა ვაჭრობა-კი არ არის, არამედ ნამდვილი მტაცებლობა და მატყუარობაა.

სამტრედიაში დიდი ტალახი და უსუ-ფთაობა იცის. დუქნის პატრონები არა-ფერს დაგიდევენ და ყოველსავე უწმინდუ-რებას დუქნის წინ ჰყრიან და ასხამენ, ასე რომ კაცს არ გაევლება,—მაგრამ ყუ-რის მგდებელი არავინ არის. თვით დუქ-ნებიც უსუფთაო და უხეიროა, და ერ-თად-ერთი სუფთა, საზოგადო ადგილი მთელს სამტრედიაში ისევ სადგურის ,,ბუფეტია'', სადაც თავს იყრიან უსაქმო და საქმიანი გამვლელ-გამომვლელნი. ხა-ლხი ბევრი იკრიბება და, როგორც ამ-ბობენ, ბუფეტის პატრონი ანგარიშს ვერ უსწორებს საზოგადოებას; ზოგნი თურმე ნახარჯსაც არ იხდიან და რაღაც ნაირად ერთს წამს გაჰქრებიან ხოლმე ბუფეტიდგან. ამბობენ, ბუფეტის პატ-რონი მაინცა-და-მაინც არა ნაღვლობსო.

დასასრულ, უნდა მოგახსენოთ, რომ არც თვით სადგურშია მაინცა-და-მაინც დიდი წესიერება. ამას წინად, როგორც ყური მოვკარით, რკინის გზის სადგუ-რის საწყობიდგან სიმინდი მოუპარავთ. ნაპარავი და თვით ქურდებიც უკვე აღ-მოუჩენიათ.

ა. ს—ი

---

# წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

მე გამოწერილი მაქვს გაზეთები «ივე-რია» და «მეურნე» და როგორღაც რო-გორც გაზეთის «ივერიის», აგრეთვე «მეურნის» ზოგიერთი №№-ბი არ მოდ-დის. მაგალითად, არ მიმიღია «ივერიის» №№ 20, 22, 23, 24, 26, და «მე-ურნისა» № 5. ჩვენის სადგურის უფ-როსს ყოველ დღე ვუგზავნი მოსამსა-ხურეს გაზეთების გამოსართმევად, მაგ-რამ ხან მითვლის—არ მოსულაო და ხან—ვინ წაიღო, არ ვიციო. ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება მიექციათ იმისა-თვის, რომ გაზეთების №№-ბი კუთვნი-ლებისამებრ იგზავნებოდეს და არ მიჭ-ქონდეთ იმ «ვიღაცაებს», რომლებსაც ვერც-კი იცნობს. გთხოვთ ამ წერილს მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გა-ზეთში და ამასთან გთხოვთ, «ივერიის» საშუალებით ისიც მაცნობოთ, ზემო-ხსენებულ ნომრებიდამ რომელია ჩემთან გამოგზავნილი და რომელი არა.*)

ნიგოითის სოფლის მასწავლებელი
ს. ჯორბენაძე

7 თებერვალი

*) ამ გვარი საჩივარი ჩვენ ხშირად მოგვ-დის ხოლმე და ამიტომაც საყოველთაოდ გაცხადებთ, რომ რედაქციები გაზეთს თავის დროზე და დაუკლებლად უგზავნიან ხელის მომწერლებს. თუ გაზეთი იკარგება, ეს ფოს-ტის ბრალია და არა რედაქციებისა.

რედ.

---

# უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** მართალია, ამ ბო-ლოს დროს ღეპეშებს საომიერობო ამბე-ბი მოაქვს, მაგრამ ევროპას მაინც მოსვე-ნების იმედი არა აქვს. უფრო ავსტრი-ვენ-გრიაა ყურ-აცქვეტილი და დამფრთხალი-ვით იყურება აქეთ-იქით. ავსტრიაში მალი-ან ნაკლებადა სჯერათ, რომ დიპლომატიამ მოლაპარაკებითა და ჩურჩულით გასწყოს რამე. დიპლომატიას რომ ხელში ჩაუ-ვარდება საქმე, მაშინ უფრო საჭიროა ფხიზლად ყოფნა და გაფაციცებით ცქერა აქეთ-იქითაო, ამბობენ ავსტრი-ვენგრიაში. იქაური გაზეთები იმასაც-კი კითხულო-ბენ, რა ვქნათ, რომ მართლა, როგორც ამბობენ, რუსეთმა თავისი ჯარები შეი-ყვანოს ბოლგარიაში პრინც კობურგის გადმოსაბრძანებლად ტახტიდამაო? გერმა-ნიის დახმარების იმედი უნდა გვქონდესო, —ამბობს Pester Lloyd»-ი, მაგრამ ვინ იცის, როცა საქმე გაჭირდება, მარ-თლა დაგვეხმარება თუ არაო; პირი რომ გვიბრუნოს და ბისმარკმა ისეთი სათუო ლაპარაკი დაიწყოს, როგორც გერმანიის პარლამენტში მოიქცა, მაშინ ხომ მარ-ტოდ-მარტონი დავრჩით თითქმის და როგორ-ღა გავუმლავეთ ძლიერს მტერსაო. ხომ იცით, რა სთქვა ბისმარკმა ამ ბოლოს დროს წარმოთქმულ სიტყვაში: «Sich mit Rusland zu vertragen oder zu schlagen»-ო, ესე იგი: დაუმეგობრდებით რუსეთს, ან წავკიდებითო.

— ავსტრი-ვენგრიის ერთი სამხედრო მწერალი სულ იმის ფიქრშია, რომ მარტონი არ დავრჩეთ და ავსტრი-ვენ-გრიელებს მარტო არ მოგვიხდეს ბრძო-ლაო. მართალია, ჩვენი ჯარი დიდის ღირსებით არის შემკული, დიდად მომ-ზადებულია, მაგრამ მაინც მეტად ძნელია შებრძოლება დიდ სახელმწიფოსთან, ძნელია მით უფრო, რომ სამსა და ოთხს ალაგას მოგვიხდება ლაშქრობა. ჯერ აღმოსავლეთისკენ მოგვინდება ჯარის გაგზავნა, მერე ჭერცოგოვინაში ჩერნო-გორელები არ მოგვისვენებენ და უთუოდ რუმინიისაკენაც საჭირო იქნება ჯარი დავაყენოთო.

**ინგლისი.** ინდოეთიდამ სწერენ დე-პეშით გაზეთს «Times»-სა: დღეს იყო კრება კალკუტის ქალაქში საკანონ-მდებლო საბჭოსი. ლორდმა დეფერინმა ახსნა, რა მიზეზით ვანებებ თავს ვიცე-კოროლობასაო. უცბად არ გადამიწყვე-ტია თავი დამენებებინა ასეთის ადგი-

---

...ა თურმე ფონოგრაფით. ედისონს ... ორკესტრისათვის დაუკვრევინე-...ბია და ფონოგრამაზე გადუღია. ისე ...ად გამოსულა ყველა საკრავი ...-ცალკე, რომ, წარმოიდგინეთ, ...ესტრში ორი ფორტეპიანო ყო-...ია სხვა-და-სხვა ხმაზე მომართუ-... და თურმე ეს ფორტეპიანოე-...-კი გაირჩეოდნენ ერთმანეთში.

...ცხადია, მაშ რომ ამას იქით შე-...ო იქნება, თეატრში ფონოგრა-...დადგან, ფონოგრამით მოწყო-...ი, და, დრამატიული წარმოდ-...ა იქნება თუ ოპერა, გამოჩენილ ...ისტის თამაშობა ან სიმღერა გა-...ონ ფონოგრამზე. მერე იყიდეთ ...ი ფონოგრამა და დასტკბით სა-...თესო არტისტის თამაშობით ან ...ღერით.

...წარმოიდგინეთ, მართლა, რომ ...ოვრობთ თქვენთვის სოფელში ... სურვილმა მოგიარათ, გამოჩენილ ...ის სიმღერა მოისმინოთ. დაიბა-... ქალაქიდამ ფონოგრამას, წა-...სწყვებით სადმე ხის ქვეშ ჩრდილო-... მოჰმართავეთ თქვენს ფონოგრაფს ...სტკბებით საუცხოვო სიმღერით ...ტისა, იმ ფატისა, რომელსაც დღეს ...თო გამოსვლაში თეატრში ათას ...ეთობით აძლევენ.

...ერთის სიტყვით, შეგიძლიანთ სო-...ლში იცხოვროთ და ოპერა გინდათ ...რამა თუ კომედია, ან გამოჩენილი ...ტისტები,—ყველაფერი და ყველანი ...ისმინოთ. საკმაოა მხოლოდ ფო-ნოგრაფი იქონიოთ და იმოდენი ფული, რომ შესაფერი ფონოგრამე-ბი იყიდოთ ხოლმე.

ჰკითხულობ ყველა ამას და გჯე-რა კიდეც, თან არცა გჯერა. გჯე-რა იმიტომ, რომ გრწამს ყოვლად შემძლებელობა მეცნიერებისა, და თანაც არა გჯერა იმიტომ, რომ მე-ტად საოცარია,—თვალით არ გინა-ხავს და რაღაც არაკი, ზღაპარი გგონია. გაზეთები-კი გვარწმუნებენ, რომ ედისონს ვითომ კიდეც გაეკე-თებინოს ხუთასი «ფონოგრამა» გა-სასყიდად და ახლო ხანებში ყიდვასაც დაიწყებენო.

თუ ყველა ეს და ბევრი სხვა ამის-თანა ამბები მართალი გამოდგა, მა-შინ-კი სწორედ რომ ინატრებს კა-ცი,—ნეტავი დიდხანს მაცოცხლაო: სიცოცხლე, მეცნიერების წყალობით, რაღაც ახალს ფერს იღებს და სასია-მოვნოც უნდა გახდეს!..

**

ორიოდე სიტყვა კიდევ ედისონზე. ამდენს ვლაპარაკობთ ედისონის სას-წაულთ-მოქმედებაზე და აქამდე არა გვითქვამს-რა,—ვინ არის თვით ედი-სონი, სად რა ისწავლა და როგორ სცხოვრობს დღეს. მგონი, მეტი-კი არ იქნებოდა ამისი ცოდნა.

ედისონი ღარიბ დედმამის შვილია. ამის მამა ძველ დაგლეჯილ ტანისა-მოსსა ჰყიდდა და ძლივ-ძლივობით დღე-დღეულად იოლად გამოდიოდა. პატარა ედისონი თორმეტის წლისა იყო თურმე, როცა მამამ რკინის გზაზე გაჰგზავნა ლუკმა პურის საშოვ-ნელად. ედისონი გაზეთებსა და ცხელ-ცხელ ძეხვებსა ჰყიდდა, მაგრამ შოვ-ნით ბევრს ვერაფერს ჰშოულობდა, ასე რომ კუჭიც ყოველთვის მაძღარი არა ჰქონდა თურმე. ერთმა პატარა შემთხვევამ, სრულიად მოულოდნე-ლად, სხვა გვარად დაატრიალა ედი-სონის ბედის ბორბალი.

ერთს დღეს ედისონმა დაინახა პა-ტარა ყმაწვილი, რომელიც რკინის გზის ლიანდაგზე თამაშობდა. სწორედ ამ დროს მოადგა ამ ალაგას მატა-რებელი და ის-ის იყო ყმაწვილს გა-სრესავდა, ედისონი რომ აქ არ შეჰ-ხვედროდა. ედისონი თვალის დახამ-ხამებაზე ეცა ყმაწვილსა, მოჰხვია ხელი და როგორც ფეხი გადმოდგა ლიანდაგიდამ, ის იყო მატარებელმაც გაისრიალა და ედისონი და პატარა ყმაწვილი ორთქლის ბუღში გაახვია. სიკვდილს გადარჩენილი ყმაწვილი სადგურის უფროსის შვილი ყოფი-ლიყო. მამამ ედისონს სამაგიერო იმით გადუხადა, რომ თავისთან აიყვანა და აქვე სადგურში დეპეშის გადაცემ-გადმოცემა ასწავლა. ედისონი თავის კვალში ჩასდგა და თავისი ნიჭი და მიხვედრილობა აქვე გამოიჩინა: ორი დეპეშა ერთს და იმავე დროს გაჰგზავნა ერთს მავთულზე. ედისონმა ყურა-დღება მიიქცია და რკინის გზის საზო-გადოებამ ნიჭიერ ყმაწვილს ფართო გზა გაუხსნა. გაუმართეს ედისონს საკუთრად ლაბორატორია, რომ თა-ვისუფლად შესძლებოდა მუშაობა. ედისონიც მუშაობდა დაუღალავად, მხნედ, ერთგულად და ამის მუშა-ობამ და ცდამ უნაყოფოდაც არ ჩა-იარა. ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა აქ ედისონმა და ბევრი სიკეთეც შესძინა ამ გზით როგორც მეცნიერებას, ისე იმ საზოგადოებას, რომელმაც ასეთი მფარველობა აღმოუჩინა პირველა-დვე.

ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც ნიჭს, თუნდ ამ ნიჭის პატრონი ძონ-ძებშიაც იყოს გახვეული, ასეთს პა-ტივსა სცემენ და ასეთს ფართო გზას აძლევენ!

ასე დაიწყო ცხოვრების გზა იმ კაცმა, რომელიც დღეს ქვეყანას აკვირვებს თავის სასწაულ-მოქმედებით. დღეს ედისონს სახელიც დიდი აქვს მოპოვებული და შეძლებაც. და ამ შეძლებას ისევ იმ საქმეს ანდომებს, რომლითაც შეიძინა.

უწინდელ პატარა სახლის მაგიერ ედისონს დღეს სამი დიდი სახლი უდგა ქვითკირისა, თითო ოთხ-ოთხ სარ-თულიანი; ერთის ლაბორატორიის მაგიერ ათ-ათობითა აქვს ყველა მეც-ნიერების განყოფილებისათვის ცალკ-ცალკე. ყველაფერი, რაც-კი დასჭირ-დება მუშაობისათვის, სულ აქა აქვს შეგროვილი, რომ უბრალო წვრილ-მანმა რამემ არ შეაყენოს ამის საქმე.

დილიდამ დაწყებული დიდ შუა-ღამემდე ედისონმა მოსვენება არ იცის თურმე, სულ მუშაობაშია გა-რთული. ედისონი მარტო არ არის თავის დიდს სახლებში: ყოველთვის აუარებელი მოწაფეები ახვევია გარსა, რომელნიც მოწიწებით ეპყრობიან თავიანთ მოძღვარს და ერთგულად მუშაობენ იმისავით.

ედისონს ყველაფერი ავიწყდება, როცა ახალ რისიმე გამოკვლევას შეუდ-გება, თურმე—მაშინ იმისთვის ქვეყა-ნაზე აღარავინ და აღარაფერი არ არსე-ბობს. ედისონის მახლობლებმა და ნაცნობებმა კარგად იციან ეს ახირე-ბული ხასიათი ედისონისა. ედისონის ცოლმა ხომ პირველ, ჯვარის-წერის დღესვე გამოსცადა ეს თავის თავზე.

ის იყო ნეფე-პატარძალი და სტუმ-რები ჯვარის-წერიდამ დაბრუნდნენ და სადილის ჭამას ემზადებოდნენ, რომ ედისონს რაღაც საქმე მოაგონ-და. თავის მეუღლეს ნება სთხოვა, ცოტას ხნით გამიშვით, რადგან ერთს საქმეს კარგა ხანია ვსცდი და სწო-რედ ეხლა მომაგონდა, რომ დღეს უნდა გამეთავებინაო. წავიდა და ყვე-ლაფერი დაავიწყდა,—სადილიც, სტუმრებიც, ახლად ჯვარ-დაწერილი ცოლიც. სტუმრები კიდეც წავიდ-წა-მოვიდნენ, კარგაც დაღამდა და ედი-სონი მაინც არსად არა სჩანდა. მაშინ თითონ ცოლი წავიდა ქმრის საძებნე-ლად და ძლივს როდის იპოვა ერთს სადღაც მივარდნილს ოთახში, ღრმად ჩაფიქრებული და რაღაც ანგარიშებ-ში გართული.

ედისონი ეხლა სულ ორმოცის წლის კაცია. ეს რამდენიმე წელიწა-დია, რაც ცოლი მოჰკვდომია. ეხლა სრულიად მოჰშორებია საზოგადოე-ბას, სცხოვრობს თურმე განდეგილად და სულით და გულით მისცემია თა-ვის საქმესა.

დონ-იაგო

ლისათვისაო; მგონია, რომ ვიცე-კოროლობა მალიან დიდი და საპატიო ადგილია ყველა იმ ადგილთა შორის, რომლის მიღება-კი ეღირსება ხოლმე ჩვენის დედოფლის ქვეშევრდომსა. ამიტომ დიდად ვსწუხვარ და მენანება კიდეც ამ ადგილის თავ-დანებება, მაგრამ კერძო მიზეზები მაიძულებს, კერძო გარემოება თითქმის მიზრმანებს უარ-ვყო ჩემი თანამდებობა. ინგლისის მთავრობა მუდამ ნდობითა და პატივის-ცემით მექცეოდა. ინდოეთის ერიც კმაყოფილია და არავითარი სამდურავი არა მსმენია იმისგან. ოთხი წელიწადი ვიშრომე და ახლა-კი ვგრძნობ, რომ ინტერესი ერისა მოითხოვს რათა გამგეობა ინდოეთისა უფრო ახალგაზდამა და ჩემზედ მხნემ იტვირთოს. მით უფრო დამშვიდებულის სინიდისით ვანებებ თავს ინდოეთს, რომ ქვეყანა დღეს დამშვიდებულია და კეთილდღეობაში იმყოფება. ასე რომ არ იყოს, ჩემს მოვალეობას არ ვუმტყუნებდი, რაც უნდა დიდად გამწირებოდა საქმე. კერძოდ მე მალიან მოხარული ვარ, რომ ჩემს მაგიერ აირჩია მთავრობამ შვილისშვილი ისეთის სახელმწიფო კაცისა, რომლის დროსაც თვით მე დავიწყე საზოგადოების სამსახური. ლორდმა ლანსდოუნმა საკმაოდ გამოიჩინა სახელმწიფო კაცის ნიჭი, როცა კანადის გენერალ-გუბერნატორად იყო. ლორდი ლანსდოუნი ახალგაზდაა, მეუღლე ჰყავს მშვენიერი და ლამაზი. ეჭვი არ არის, რომ დიდს სიყვარულს დაიმსახურებს ინდოეთში.

---

# დეპეშა

11 თებერვალი

**პეტერბურგი.** დღეს დაიწყო მოქმედება «რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკმა».

**სტამბოლი.** გერმანიის ელჩს ფონ-რადოვიჩს დეპეშით შემოუთვალეს: ეცადე როგორმე და მომხრეობა გაუწიე იმ სადიპლომატო ღონისძიებას, რომელიც იქნება საჭიროდ სცნოს რუსეთმა, რათა დაიყოლიოს ოსმალეთის მთავრობა და გამოაცხადებინოს, რომ პრინც ფერდინანდ კობურგელის ბოლგარიის მთავრად ამორჩევა უკანონოაო. ეჭვი არ არის, რომ ამ საქმეში საფრანგეთიც მხარს დაუჭერს გერმანიას.

**ბერლინი.** აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ბოლგარიის საქმის გამო მოლაპარაკების პირველი ხანა რუსეთის სურვილისამებრ გარდასწყდებაო. «ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო გაზეთი» ამბობს: დარწმუნებულნი ვართ, რომ ოსმალეთი იტყვის, პრინც კობურგელი უკანონოდ არის მთავრად ამორჩეული ბოლგარიაშიო, თუნდა ამ მხრივ სხვა დიდნი სახელმწიფონიც არ მიეკედლნენო.

**ვენა.** ოფიციოზურს გაზეთებს არ მოსწონთ რუსეთის წინადადებანი, ხოლო ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეჰხედავს ამ საქმეს თ. ბისმარკი. ყველაფერზედ ეტყობა, რომ თ. ბისმარკი უეჭველად მოინდომებს რუსეთის სურვილის დაკმაყოფილებას.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ფერგიუსონმა კვლავ ილაპარაკა და გამოაცხადა, რომ ინგლისს არავითარიმე ვალდებულება არ უტვირთნია, თუ ვინიცობაა საერთა-შორისო ბრძოლა ასტყდაო. ამასთან აღნიშნა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის მეგობრული და კეთილი დამოკიდებულება ჰსუფევსო.

**ბრიუსელი.** ბელგიის ბანკმა დასწია დისკონტი 3%-დგან $2^1/_2$-მდე.

**პეტერბურგი.** დღეს მთავრობისაგან გამოცხადებულ იქმნა შემდეგი ცნობა ბოლგარიის საქმეთა გამო: «დეპეშები, რომელნიც ამ ბოლოს ხანებში საზღვარ-გარეთიდამ მოდიან, იუწყებიან, რომ იმპერატორის ელჩმა ბერლინში წარადგინა გერმანიის მთავრობის წინაშე წინადადებანი ბოლგარიის შესახებ. რომ შეუცდომელად გაგებულ იქმნას ეხლანდელი მდგომარეობა საქმისა, საჭიროა სახეში ვიქონიოთ იგი აზრი, რომელიც თავდაპირველად გამოთქმულ იყო იმპერატორის მთავრობისაგან ბოლგარიის თაობაზედ: ბერლინის ხელ-შეკრულობა საფუძვლად უდევს იმ წესსა და რიგსა, რომელიც დადგენილ იქმნა, სახელმწიფოთა ურთიერთის თანხმობით, ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ და ამ ხელ-შეკრულობაშია ერთად-ერთი ერთა-შორისი თავ-მდებობა იმ განსაცდელის წინაამდეგ, რომელიც საშიშარია ნახევარ-კუნძულის ახალ სახელმწიფოთა მერმისისათვის. იმპერატორის მთავრობა სწორედ ამ თვალით უყურებს ყოველს იმას, რაც ბოლგარიაში მოხდა მას მერმედ, როცა მისი პირველი მთავარი გადაყენებულ იქმნა. პრინც ფერდინანდ კობურგელის მისვლა და მის მიერ მთავრის უფლების ხელში ჩაგდება მოხდა წინაამდეგ ხელ-შეკრულობისა და ამიტომაც იმპერატორის მთავრობამ მაშინვე გამოაცხადა, რომ ბოლგარიის კანონიერ მმართველად იგი პრინცს არ შეიწყნარებს და ამავე დროს შეეცადა სხვა სახელმწიფოებსაც ეგევე გამოეცხადებინათ. ამ ჟამად, როცა ყოველის მხრიდამ ისმის სურვილი ბოლო მოეღოს დღევანდელს საშიშარს მდგომარეობას, რომლის მიზეზი ეხლანდელი გამოურკვეველი ყოფაა ბოლგარიისა, იმპერატორის მთავრობა თავის მოვალეობად ჰხადის ხელახლად შეეცადოს იმ აზრით, რომ სახელმწიფოებმა გამოაცხადონ ხელშეუხებლობა და დაურღვეველობა ხელ-შეკრულობის დადგენილობათა ბოლგარიის შესახებ და კვლავ დააყენონ კანონიერ გზაზედ. რა-კი ამას გამოაცხადებენ სახელმწიფონი, ამისი უეჭველი შედეგი ის უნდა იყოს, რომ კონსტანტინოპოლს აცნობონ იმ აზრით, რათა სულთანი დაითანხმონ გამოუცხადოს ბოლგარებსა, რომ კაცი, რომელიც დღეს ატარებს მთავარის სახელსა, არამც თუ უკანონო მმართველია ბოლგარიისა, არამედ მომტაცებელია უფლებისა. იმპერატორის მთავრობის აზრით, ამისი თაოსნობა უცილობელად ეკუთვნის სულთანსა, რომლის უფლებას, როგორც სუზერენისას, პირდაპირ შეეხება უკანონო მსვლელობა საქმეთა სოფიაში. მერმისზედ თქმა რისამე ძნელია, მხოლოდ იმპერატორის მთავრობა, იმისათვის რომ ყოველ ეჭვს გარეშე იყოს მისი აზრი და განზრახვა, არა ჰხედავს საჭიროდ დამალოს თვისი სურვილი, რომელსაც იგი მტკიცედ დაადგება ბოლგარიის საქმეში, თუ ვინიცობაა მიზეზნი ეხლანდელის კრიზისისა მოსპობილ იქმნებიან. ბოლგარია თუ არსებობს, რუსეთის სხვერპლითა და მეცადინეობით არსებობს და ამიტომაც რუსეთი წინანდელის მონაწილეობით ეპყრობა ამ ქვეყანასა და მწუხარებით უყურებს იმ განსაცდელს, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება. რუსეთი ერთნაირად შორს არის იმაზედ, რომ ან წინაამდეგობას ხელი შეუბრუნოს, ან მომხრეობას მიჰკერძოს და ამიტომაც თავისის ღირსების შეუსაბამოდ ჰხადის გაერიოს ბოლგარიის შინაურ აშლილ საქმეებში. იმპერატორის მთავრობა ამავე დროს შორს არის იმ განზრახვისაგან, რომ წარსულის გამო პასუხის გების ქვეშ დააყენოს ვინმე. ხოლო გულ-წრფელად აღიარებული ცდომილება იმპერატორის მთავრობისაგან მიღებულ იქმნება იმის თავ-მდებად, რომ საქმენი უკეთ წარიმართებიან. რუსეთს მარტო ბოლგარიის საკუთარი სიკეთე ჰსურს და თუ მოშორებულ იქმნება მტაცებელი ტახტისა, რუსეთი დაუწყებს ლოდინს, რომ ბოლგარიის ერმა გულ-წრფელად მოჰმართოს თავისის წარმომადგენლების პირით, რათა დავიწყებას მიეცეს წარსული და კვლავ აღდგენილ იქმნას ურთიერთობა, ერთმანერთის ნდობაზედ დამყარებული. ამასთანავე იმპერატორის მთავრობა შორს არის აგრეთვე იმაზედაც, რომ რითიმე შეჰხუთოს ბოლგართა თავისუფლება, რომელიც მათ მიაკუთვნა ხელ-შეკრულობამ ყოველ იმ საქმეში, რაც-კი შეეხება ბოლგარიის შინაურ წყობასა და მართვასა. იმპერატორის მთავრობა არასოდეს არ დაივიწყებს, რომ ბოლგარიამ თავისუფლება მოიპოვა განსაკუთრებით რუსეთის წყალობით; ბოლგარიის უფლებათა დაცვა იმისი პირ-დაპირი მოვალეობაა, მხოლოდ ისაა საჭირო, რომ ბოლგარიის გამგებლებმა გონიერულად ისარგებლონ თავიანთის უფლებითა. საჭიროა ბოლგარებმა, რომლებსაც ეგოდენი განსაცდელი გამოუვლიათ, მოისაზრონ, რომ დროა თავი დაანებონ კერძო მიზიდულებათა და ანგარიშს და შეაერთონ საკუთარი ძალ-ღონე, რათა თავიანთ სამშობლოს მიანიჭონ კანონიერი და კეთილი ცხოვრება. თუ ბოლგარები ასე მოიქცევიან, მაშინ ვისიმე ჩარევა საქმეში საჭირო არ იქნება და ახალი მთავარი დაუბრკოლებლად, ტრაქტატების თანახმად, შესდგამს ფეხს ბოლგარიაში. იმპერატორის მთავრობა, რაც-კი ბოლგარიის კრიზისი დაიწყო, განუწყვეტლივ ხელ-მძღვანელობდა ზემოხსენებულის მოსაზრებითა და ეს მოსაზრება იყო მიზეზი, რომ რუსეთმა წინად უარ-ჰყო აზრი, ვითომც შესაძლო ყოფილიყოს ძალ-მომრეობით აღედგინათ კანონიერება. ამასთანავე, რასაკვირველია, რუსეთის მთავრობა კვლავ უკანონოდ ჩასთვლის ბოლგარიის აწინდელ მდგომარეობას, ვიდრე იქიდგან არ გააძევებენ მტაცებელს ტახტისას. თანაც დარწმუნებული იქმნება რუსეთის მთავრობა, რომ ამ მდგომარეობის თავიდამ მოშორება საუკეთესო ღონის-ძიებაა, რათა დამყარდეს საყოველთაო მშვიდობიანობა.

12 თებერვალი

**პეტერბურგი.** მთავრობის გუშინდელ უწყებისა გამო «Journal de St.-Pétersbourg»-ი ამბობს: „უწყებაში შეცვლილია პროგრამა და სჩანს, რომ რუსეთსა სწადიან სრული მორიგება, უნდა აღადგინოს ბოლგარიაში კანონიერება ზნეობრივის ავტორიტეტით და არა ჰფიქრობს შეეხოს ბოლგარიის დამოუკიდებლობასა. სახელმწიფონი, რომელთაც უნდათ მშვიდობიანობა, ვერ ეტყვიან უარს და კანონიერს შემწეობას აღმოუჩენენ მეცადინეობას, რათა ყოველივე დაწყნარდეს“.

იგივე გაზეთი დანამდვილებით იუწყება, რომ იმპერატორის მთავრობას არ დაურიგებია არავითარიმე საცირკულიარო ნოტა შესახებ ბოლგარიის საქმეებისაო.

**ლონდონი.** გაზეთები ლაპარაკობენ რუსეთის მთავრობის უწყებაზე შესახებ ბოლგარიისა და ამბობენ, რომ რუსეთი ზომიერად ჰმოქმედობსო. «Times»-ი ამბობს, რომ მაინც ეს უწყება გამოიწვევს უფრო ვრცელს მოლაპარაკებას და ნამდვილი კრიზისი მაშინ დაიწყება, როდესაც რუსეთი აღძრავს კითხვას შესახებ ღონის-ძიებისა, რომელმაც უნდა გაამართლოს იმისი სურვილიო.

მარკიზ სალისბერიმ ლორდთა პალატაში ბოლგარიის საქმის შესახებ წარმოსთქვა სიტყვა. მარკიზმა სთქვა, რომ არავითარი საბუთი არ არის, ბოლგარიას უკანონოდ მოქმედება შესწამონო. სალისბერიმ სთქვა, რომ მორიგება ბოლგარიის საქმის თაობაზე ადვილი არ არისო. კონგრესი ან კონფერენცია მაინც-და-მაინც მოსახერხებელი არ არის, რადგანაც ძნელად საფიქრებელია, რომ სახელმწიფონი გულწრფელად მორიგდნენ. ხსენებული საშუალება უფრო საშიშია და შეუძლიან საქმე დღევანდელზე უფრო გააძნელოს. უფრო მოსახერხებელი და საიმედო იქნება კაბინეტთა შორის მოლაპარაკება და შესაძლოა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საშუალებით უთანხმოებას ბოლო მოეღებაო. მაინცა-და-მაინც სალისბერი სრულიად თანახმაა თავად ბისმარკის აზრისა, რომ ევროპის ომი, ბოლგარიის საქმით გამოწვეული, სამარცხვინო იქნება ევროპისათვისაო.

**პარიჟი.** ვილსონის საქმის განხილვა უკვე დასრულებულია. განაჩენი წაკითხული იქნება ერთის კვირის შემდეგ.

საიდუმლო ფონდის შესახებ სამინისტრომ გარდასწყვიტა დავეკითხოთ პალატას, გვენდობა თუ არაო.

პეტერბურგის ბირჟა 9 თებერვ.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გარიგებანი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო. | — | ,, | — | ,, | 9 | 44 |
| ტამოჟნის კუპონები. | — | ,, | — | ,, | 188¾ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული........ | 1 | 35 | — | ,, | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი........ | — | ,, | — | ,, | 265 | |
| — მეორისა..... | — | ,, | — | ,, | 249½ | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა. | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა.. | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა..... | — | ,, | — | ,, | — | ,, |

---

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელი, დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ხელ-ნადებია—25.

თებერვალი 29 დღით არის.

**13 დღე შაბათი.** ღირსისა მარტინიანისა და სვიმონისა. კათოლ. ქალწ. მოწ. ევლალიისა. სომეხ. წმ. მამათა გევონდიანცისა. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—41, ჩადის 5—46. მთვარე 14 დღისაა.

**14 დღე კვირა.** ღირსისა კირილესი და ავქსენტისა. კათოლ. ვალენტინასი. სომეხ. მიგებება უფლისა (ტიარნდარაჯი). მუსულ. მე-13 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—40, ჩადის 5—47. მთვარე 15 დღისაა.

**15 დღე ორშაბათი.** მოციქ. ონისიმესი. კათოლ. ფაუსტინასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის 5—48. მთვარე 16 დღისაა.

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემების შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, ტრაპიზონს გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა ხუთიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს დაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

---


## განცხადებანი

ქ. გორში, სობოროს ქუჩაზედ,

გაიღო

ქართულის წიგნის მაღაზია.

ყველა წიგნის გამომცემელს შეუძლიან გამომიგზავნოს თავისი გამოცემა ჩვეულებრივის კომისიითა.

(5—1) კონსტანტინე ცხვედაძე